კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“

წ ე ს დ ე ბ ა

16 მარტი, 2017 წელი

(წესდების ტექსტი კონსოლიდირებულია 2024 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით)

თბილისი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ინსტიტუტის სამართლებრივი ფორმა და სხვა ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი: „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (შემდგომში ინსტიტუტი) წარმოადგენს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდულ პირს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.

2. ინსტიტუტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

3. ინსტიტუტის სრული სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“. ინგლისურად: “Institute for Development of Freedom of Information (IDFI)”

4. ინსტიტუტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, ამ წესდების, შინაგანაწესის და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

5. ინსტიტუტის იურიდიული მისამართია: ნიაღვრის ქუჩა № 4, ბინა №18, თბილისი 0108, საქართველო.

5[1]. ინსტიტუტის ერთიანი ელექტრონული პორტალის მართვაზე პასუხისმგებელი პირია ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი - გიორგი კლდიაშვილი (პ/ნ: 01017005502; მობილური ტელ: 599 77 01 00; email: g.kldiasvili@idfi.ge).

6. ინსტიტუტის ოფიციალური ვებ გვერდის მისამართია: www.idfi.ge

7. ინსტიტუტის ელ-ფოსტის მისამართია: info@idfi.ge

8. ინსტიტუტის დამფუძნებლები არიან:

ლევან ავალიშვილი

დაბადების თარიღი:	29 ნოემბერი 1978
პირადი ნომერი:	01024005626
მისამართი	ნუცუბიძის მე-5 მიკრორაიონი, კორპ.№9, ბინა №27.

გიორგი კლდიაშვილი

დაბადების თარიღი:	21 ივნისი 1979
პირადი ნომერი:	01017005502
მისამართი	ქ. თბილისი, ნიაღვრის ქუჩა № 4, ბინა №18.

9. „ინსტიტუტს" აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას ნებისმიერი ტიპის მათ შორის სავალუტო) ანგარიში საქართველოსა და უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში.

10. დასახული მიზნების მისაღწევად ინსტიტუტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

11. „ინსტიტუტს" შეუძლია გაწევრიანება სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებში (მათ შორის საერთაშორისოში).

12. დასახული მიზნებიდან გამომდინარე, „ინსტიტუტი" მოქმედებს, როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.

<u>(განხორციელებულია ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად)</u>

მუხლი 2. ინსტიტუტის ხედვა, მისია, ძირითადი მიზნები და საქმიანობის ფორმები

1. ინსტიტუტის ხედვაა – ინფორმირებული და ძლიერი საზოგადოება დემოკრატიული მმართველობისთვის.

2. ინსტიტუტის მისიაა – საზოგადოების გაძლიერება და მისი ინკლუზიურობისა და ინფორმირებულობის გაზრდა. ამ მიზნით, ინსტიტუტი მუშაობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე, იცავს ადამიანის უფლებებს, ხელს უწყობს კარგი მმართველობის დანერგვას და ამზადებს ინფორმაციულ ანგარიშებს, ხარისხიან კვლევებს და რეკომენდაციებს; ინსტიტუტი ადვოკატირებას უწევს ახალ ინიციატივებს და არსებული პოლიტიკის, კანონებისა და პრაქტიკის რეფორმებს.

3. ინსტიტუტის ძირითადი მიზნებია:

   3.1. დემოკრატიული მმართველობის და ინფორმაციის თავისუფლების განვითარება, გამოხატვის თავისუფლების დაცვა, საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდა;

3.2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება, ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;

3.3. საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მონიტორინგი;

3.4. ინფორმაციის თავისუფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;

3.5. სამართლის უზენაესობის გაძლიერება და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა;

3.6. ელექტრონული მმართველობისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

3.7. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

3.8. არქივების ღიაობა და საბჭოთა წარსულის კვლევა;

3.9. კვლევითი საქმიანობა სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ისტორიულ და სხვა საკითხებზე;

3.10. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

3.11. საქართველოში არსებული სამართლებრივი და მმართველობითი სისტემების გაუმჯობესებისა და არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, კვლევითი, სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობების წარმართვა;

3.12. სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა;

3.13. მედიის თავისუფლების და მედია პლურალიზმის ხელშეწყობა;

3.14. მოქალაქეთათვის კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიწოდება;

3.15. საქართველოში საჯარო მმართველობის განვითარების და რეფორმების ხელშეწყობა;

3.16. ახალგაზრდების განვითარების საკითხებზე მუშაობა;

3.17. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

3.18. დეცენტრალიზაციის პროცესის მხარდაჭერა და საქართველოს ადგილობრივი

თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარების და გაძლიერების ხელშეწყობა, ღია მმართველობის, მოქალაქეთა ჩართულობის, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად;

3.19. საგანმანათლებლო საქმიანობა ადამიანის უფლებების, დემოკრატიული მმართველობის, გამოხატვის თავისუფლების, მედიის თავისუფლების, ელ-მმართველობის და ინტერნეტის, საჯარო მმართველობის, კორუფციის წინაღმდეგ ბრძოლის, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის, საარქივო საქმის, ისტორიის და სხვა მიმართულებებით;

3.20. სხვა ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას;

4. ინსტიტუტის საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

4.1. საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების მონიტორინგის განხორციელება;

4.2. კანონპროექტების შემუშავება და ექსპერტული შეფასება;

4.3. სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა;

4.4. საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის რეკომენდაციების შემუშავება;

4.5. სამეცნიერო, კვლევითი, საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობა;

4.6. ტრეინინგების ჩატარება სხვადასხვა საკითხზე;

4.7. არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარების მიზნით, საარჩევნო პროცესებზე დაკვირვება;

4.8. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დახმარება მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით, საკონსულტაციო და სხვა სახის საქმიანობით;

4.9. სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება სამოქალაქო ინტერესების დასაცავად;

4.10. სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სასწავლო-მოსამზადებელი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სხვა სახის პროგრამების, კონფერენციების, ასევე, პროფესიული სახის ტრენინგებისა და სემინარების, შეხვედრების ჩატარება;

4.11. ქართველი და უცხოელი ექსპერტების მოწვევა ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად;

4.12. კვლევის შედეგების კერძოდ, წიგნების, ჟურნალების, საინფორმაციო სახის ბუკლეტების თუ ბროშურების გამოცემა, აგრეთვე ელექტრონული რესურსების შექმნა, რაც დაკავშირებული იქნება წესდებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასთან;

4.13. საქველმოქმედო საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გრანტების (ქვეგრანტების) გაცემა.

5. ინსტიტუტი საკუთარი მიზნების შესაბამისად და საჭიროებისამებრ, უფლებამოსილია განახორციელოს ყველა სხვა საქმიანობა და გამოიყენოს საქმიანობის ნებისმიერი ფორმა, რომელიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

6. ინსტიტუტი უფლებამოსილია განახორციელოს კომერციული საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს ორგანიზაციის მიზნებს.

თავი II. ინსტიტუტის მმართველი ორგანოები/პირები

მუხლი 3. მმართველი ორგანოები

1. ინსტიტუტის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც განსაზღვრავს ინსტიტუტის განვითარების ზოგად მიმართულებებს და სტრატეგიას, ირჩევს აღმასრულებელ დირექტორს და ზედამხედველობას უწევს მის საქმიანობას.

2. ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს აღმასრულებელი დირექტორი და მისი არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოადგილე.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭო

1. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 11 წევრისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

2. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, თუ ამ წესდებაში სხვაგვარად არა არის მითითებული.

3. საბჭოს სხდომა მოიწვევა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ წელიწადში სულ მცირე ერთხელ წერილობითი ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის გზით, სხდომის

ჩატარებამდე სულ მცირე ათი (10) დღით ადრე. შეტყობინების გაგზავნის ფორმა უნდა იძლეოდეს შეტყობინების მიღების დადასტურების შესაძლებლობას.

4. საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, შესაძლებელია ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მიერ (მისი არყოფნისას – აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მიერ) ან საბჭოს არანაკლებ 3 წევრის მოთხოვნით, საჭიროების ან/და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დღის წესრიგის მითითებით, ან, როდესაც ამას ინსტიტუტის ინტერესები მოითხოვს. საბჭოს სხდომის გამართვისა და დღის წესრიგის თაობაზე ეცნობება აღმასრულებელ დირექტორს.

5. სამეთვალყურეო საბჭოს არ აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარების შეტყობინებას თან უნდა ახლდეს წერილობით შედგენილი სხდომის დღის წესრიგი.

6. სამეთვალყურეო საბჭოში თითოეულ წევრს აქვს ერთი (1) ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმა ენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად. უფლებამოსილების მესამე პირის გადაცემა/მინდობა დაუშვებელია.

7. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 2/3. თუ საბჭოს სხდომა არ არის გადაწყვეტილების უნარიანი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია სულ ცოტა 8 (რვა) დღის ვადაში, იმავე დღის წესრიგით მოიწვიოს ახალი კრება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს სხდომაში მონაწილეობა შეუძლია დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

8. საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს წევრთაგან, წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საბჭოს ნებისმიერ წევრს.

9. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს ადგენს სხდომის მდივანი, რომელიც ყოველი სხდომის დაწყებისას აირჩევა საბჭოს წევრთაგან საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

10. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია დაამტკიცოს „სამეთვალყურეო საბჭოს რეგლამენტი“. რეგლამენტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების მოთხოვნებს.

(განხორციელებულია ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად)

მუხლი 5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და უფლებამოსილების შეწყვეტა

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თუ უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო საბჭოში არ რჩება ამ წესდების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა, საბჭოს შესაბამის წევრის/წევრების უფლებამოსილება გრძელდება საბჭოს ახალი წევრის/წევრების არჩევამდე.

2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა უფლებამოსილების გახანგრძლივების შესახებ წერილობითი მოთხოვნა, მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 14 დღისა, უნდა წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს. აღნიშნულ მოთხოვნას სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ხმათა უმრავლესობით და ასახავს სხდომის ოქმში.

3. სამეთვალყურეო საბჭოს მოქმედი შემადგენლობა, საბჭოს მოქმედი ან ყოფილი წევრის წერილობითი რეკომენდაციის საფუძველზე ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს ახალ წევრებს, მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

4. საბჭოსთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ავტომატურად ხდება ინსტიტუტის საბჭოს წევრი:

   4.1. ინსტიტუტის დამფუძნებელი - თუ ის არ არის პირდაპირ ჩართული ინსტიტუტის მიმდინარე პროექტებში და საქმიანობაში და საბჭოს წევრად გახდომის მომენტისთვის არ უკავია ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობა;

   4.2. ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდგომ - თუ მას აქვს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე საქმიანობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება და საბჭოს წევრად გახდომის მომენტისთვის არ უკავია ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობა. ეს წესი არ გამოიყენება, თუ აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი გახდა საბჭოს მიერ ამ წესდების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება;

   4.3. წესდების მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის პირველი და მეორე ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ წესზე არ ვრცელდება წესდების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბჭოს წევრთა მაქსიმალური რაოდენობის შეზღუდვა.

5. ინსტიტუტი იწყებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევას საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 45 დღისა. შერჩეულ

კანდიდატებს სამეთვალყურეო საბჭო უტარებს ზეპირ გასაუბრებას.

6. სამეთვალყურეო საბჭოს სრული შემადგენლობა კენჭს უყრის წევრობის კანდიდატს. კანდიდატის არჩევა ხდება საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ის ხმათა უმრავლესობით.

7. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს დასაქმებული საჯარო სამსახურში ან იყოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრი.

8. სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა/წევრობის კანდიდატმა ამ მუხლის მე-7 პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით სამეთვალყურეო საბჭოს დანარჩენ წევრებს.

9. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ:

   9.1. საბჭოს წევრი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე განცხადებით მიმართავს საბჭოს;

   9.2. საბჭოს წევრი გარდაიცვალა, მიჩნეულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოცხადდა გარდაცვლილად;

   9.3. ცნობილ იქნა მხარდამჭერის მიმღებად, ან/და სახეზეა გარემოება, რომელიც გამორიცხავს მის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას;

   9.4. საბჭოს წევრმა დაიკავა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობა;

   9.5. საბჭო წევრმა განახორციელა ქმედება, რომელიც ლახავს ინსტიტუტის ავტორიტეტს.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტის 9.1, 9.2 და 9.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრების დამსწრეთა უმრავლესობით.

11. ამ მუხლის მე-9 პუნქტის 9.3 და 9.5 ქვეპუნქტების საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის 2/3 უმრავლესობით. წევრს უნდა მიეცეს საბჭოსთვის განმარტებების წარდგენის შესაძლებლობა.

12. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 14 დღის ვადაში საბჭო იწყებს ამ მუხლის მე-5-მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ პროცედურას.

<u>(განხორციელებულია ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად)</u>

(განხორციელებულია ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად)

მუხლი 6. სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებები

1. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:

1.1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

1.2. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა და ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტების დამტკიცება;

1.3. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტისა და საქმედო გეგმის დამტკიცება;

1.4. ინსტიტუტის საქმიანობის წლიური ანგარიშების (ფინანსური და ნარატიული) დამტკიცება;

1.5. ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის არჩევა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა;

1.6. ფილიალებისა და წარმომადგენლობების შექმნა, მათი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, მათი დებულებების და ანგარიშების დამტკიცება;

1.7. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტის (ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია) შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება;

1.8. „ინსტიტუტის" უძრავი ქონების გასხვისების, იპოთეკით/გირავნობით დატვირთვის, აგრეთვე მოძრავი ქონების 1/3-ზე მეტის გასხვისების თაობაზე გარიგების დადების შესახებ, გადაწყვეტილების მიღება;

1.9. კერძო სამართლის როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

1.10. საბჭო ასრულებს წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაშია და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმების შემდგომ, გარდა ამ მუხლის 1.2, 1.4, 1.6 და

1.11 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ საქართველოს კანონმდებლობით ან საბჭოს გადაწყვეტილებით შესაბამისი გადაწყვეტილების სანოტარო დამოწმება არ არის მოთხოვნილი.

3. ამ მუხლის 1.7. ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3ის მიერ.

4. ამ მუხლის 1.8. ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სრული შემადგენლობის 4/5ის მიერ.

5. ამ მუხლის 1.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3ის მიერ.

6. საბჭოს გადაწყვეტილება წესდების შეცვლი თაობაზე, აგრეთვე წესდების ამ მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ მიიღება საბჭოს სრული შემადგენლობის 4/5-ის მიერ.

(განხორციელებულია ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად)

(განხორციელებულია ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად)

მუხლი 7. აღმასრულებელი დირექტორი

1. ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი. აღმასრულებელი დირექტორი არის ინსტიტუტის ხელმძღვანელობასა და პასუხისმგებლობაზე უფლებამოსილი პირი.

2. ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს მოადგილე. მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი დირექტორი.

3. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს მოქმედ წევრს აქვს ინტერესთა შეუთავსებლობა დირექტორობის კანდიდატთან, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით სამეთვალყურეო საბჭოს დანარჩენ წევრებს.

4. აღმასრულებელი დირექტორი აირჩევა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 5 (ხუთი) წლის ვადით. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი აღმასრულებელი დირექტორის არჩევამდე. აღმასრულებელი დირექტორი თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების გახანგრძლივება შესაძლებელია მხოლოდ 2 (ორი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭო აღმასრულებელ დირექტორს ირჩევს მოქმედი დირექტორის უფლებამოსილების ამოწურვამდე ან მისი უფლებამოსილების ამოწურვიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

6. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

7. აღმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობს ინსტიტუტის მიმდინარე საქმიანობის ყველა მიმართულებას.

8. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, უფლებამოსილებების განზრახ არაკეთილსინდისიერად ან პირადი მიზნებით გამოყენებისას, აგრეთვე წესდების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ამავე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული წესით.

9. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილება გადადის მის მოადგილეზე, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ახალი აღმასრულებელი დირექტორის არჩევამდე.

(განხორციელებულია ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად)

მუხლი 8. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებები

1. აღმასრულებელი დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

   1.1. ინსტიტუტის საქმიანობის პროგრამის შემუშავება და ინსტიტუტის მიზნების განხორციელება;

   1.2. ინსტიტუტის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა;

   1.3. ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;

   1.4. ინსტიტუტის ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლი;

   1.5. გადაწყვეტილებათა მიღება ახალ გრანტებთან და პროექტებთან დაკავშირებით საბჭოს

მიერ განსაზღვრული სტრატეგიის შესაბამისად;

1.6. წინადადებათა მომზადება წესდებაში ცვლილებების შესატანად;

1.7. ამ წესდების მე-6 მუხლის 1.2, 1.3, 1.4 და 1.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების შემუშავება სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად;

1.8. ინსტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცება;

1.9. ინსტიტუტის ფილიალებისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელების დანიშვნა და გათავისუფლება;

1.10. ინსტიტუტის სიმბოლიკის (ემბლემის, დროშის) დამტკიცება;

1.11. ინსტიტუტის წარმოდგენა ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, სახელმწიფო და სასამართლო ორგანოებში;

1.12. ინსტიტუტის წარმოდგენა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა პარტნიორებთან ურთიერთობაში;

1.13. ინსტიტუტის ერთპიროვნულად და შეუზღუდავად წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში;

1.14. ნებისმიერი სახის გარიგების დადება თუ ეს არ მოითხოვს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას;

1.15. ნებისმიერი სახის დოკუმენტსა და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა;

1.16. ფინანსურ (საბუღალტრო) დოკუმენტებზე ხელის მოწერა;

1.17. წესდებით დადგენილი პირობების შესაბამისად ინსტიტუტის ფულადი სახსრების განკარგვა;

1.18. თანამშრომლების სამუშაოზე აყვანა და განთავისუფლება;

1.19. თავისი უფლებამოსილებების/ფუნქციების განსახორციელებლად შიდა ორგანიზაციული სამართლებრივი აქტების გამოცემა;

1.20. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა.

2. აღმასრულებელი დირექტორი გადაწყვეტილებას იღებს ყველა იმ საკითხზე, რაც არ შედის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში.

3. წესდებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, აგრეთვე აღმასრულებელი დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ან აღმასრულებელი დირექტორის დავალებით მის უფლებამოსილებას ასრულებს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.

(განხორციელებულია ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად)

მუხლი 9. ინსტიტუტის კომისიები და საკონსულტაციო ორგანოები

1. ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, შექმნას დროებითი კომისიები, რომელთაც საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში შეიძლება გადაეცეთ სპეციალური უფლებამოსილება, მათ შორის აუდიტის დასკვნის შედეგად გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების უფლება.

2. კომისიათა დებულებები, შემადგენლობა, მათი კომპეტენცია და ფუნქციონირების წესი მუშავდება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

3. ინსტიტუტს შეიძლება ჰყავდეს მრჩეველთა ჯგუფი, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციებს ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. ინსტიტუტის მრჩეველთა ჯგუფს აკომპლექტებს სამეთვალყურეო საბჭო.

თავი III. ფინანსები და კონფიდენციალობის პოლიტიკა და სხვა დებულებები

მუხლი 10. ინსტიტუტის ქონება

1. ინსტიტუტის ქონება იქმნება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობების, მიღებული გრანტებიდან და ინსტიტუტის წესდებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კანონით ნებადართული ნებისმიერი ფორმით მიღებული სახსრებიდან, მათ შორის დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული და სხვა კანონიერი შემოსავლებიდან.

2. ინსტიტუტის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მის საწესდებო მიზნებს.

მუხლი 11. ფინანსური კონტროლი და ანგარიშგება

1. აღმასრულებელი დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს ინსტიტუტის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე.

2. ინსტიტუტი აწარმოებს ფინანსურ და ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.
3. აღრიცხვის მდგომარეობაზე, ბუღალტრული და სხვაგვარი აღრიცხვის დროულ წარდგენაზე პასუხიმგებლობა ეკისრება აღმასრულებელ დირექტორს.

მუხლი 12. კონფიდენციალობა

1. ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი, ისევე, როგორც ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი, ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა; კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხა განისაზღვრება აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირებს არ აქვთ უფლება აღმასრულებელი დირექტორის თანხმობის გარეშე პირადი მიზნით გამოიყენონ ან გაავრცელონ ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

3. ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები ძალაში რჩება ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან ორგანიზაციაში დასაქმებული პირების უფლებამოსილების შეწყვეტის შემდგომაც.

მუხლი 13. ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლების არსებობისას და კანონმდებლობით დადგენილი წესით. რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო.

2. ინსტიტუტის ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულადი ფორმით, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. (ამოღებულია)

2. (ამოღებულია)

3. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

4. წესდების რომელიმე დებულების/მუხლის გაუქმება, ბათილად ცნობა ან შეცვლა გავლენას არ ახდენს წესდების სხვა დებულებაზე/მუხლზე.

5. წესდებაში ხარვეზების არსებობისას გამოიყენება კანონით დადგენილი პირობები.

6. წინამდებარე წესდება შედგენილია ერთ ეგზემპლარად, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ინახება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

(განხორციელებულია ცვლილება სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად)

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

დავით მაისურაძე (პ/ნ: 59002007532), თავმჯდომარე

ნათია კუპრაშვილი (პ/ნ: 60001006837)

ნინო ვასაძე (პ/ნ:01017008742)

დიმიტრი ალექსიძე (პ/ნ: 01031000775)

ქეთევან გომელაური (პ/ნ: 01017007881)

ნინო ჩიქოვანი (პ/ნ: 01008020903)